უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) დაიდო 2023 წლის 30 ოქტომბერს, შემდეგი მხარეების მიერ და მათ შორის:

შპს „დეველოპიო“, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩა №32, ბინა 17, საიდენტიფიკაციო კოდი: 405634906 (შემდგომში “**კომპანია**”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი დავით გოგსაძის სახით

და

დავით მირესაშვილი (პ/ნ 01017036910, მცხ: თბილისი, ლეო ქიაჩელის ქ. 7ა),

სოფიო მამფორია (პ/ნ 01009015380, მცხ: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 52, ბინა 4),

(შემდგომში ცალ-ცალკე “**გამყიდველი**”, ხოლო ერთობლივად **„გამყიდვლები“**)

„გამყიდველი“/„გამყიდვლები“ და „კომპანია“ ცალ-ცალკე მოიხსენიებიან, როგორც “მხარე”, ხოლო ერთობლივად – როგორც “მხარეები”.

“მხარეები” შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინები და განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება“ - წინამდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ნებისმიერი სათანადოდ გაფორმებული დამატების ან ცვლილების ჩათვლით;

„ხელშეკრულების თარიღი“ - წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმების თარიღი, რომელიც ზემოთ არის მითითებული;

„ქონება“ - უძრავი ქონება, რომელიც მითითებულია წინამდებარე “ხელშეკრულების” 2.2 პუნქტში;

„მესამე პირი“ - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, ასევე ნებისმიერი სახელმწიფო ან სამთავრობო სტრუქტურა, გარდა „მხარეებისა“;

„საქართველოს კანონმდებლობა“ - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის კანონები, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და საქართველოს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ბრძანება, დადგენილება, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, სასამართლო და მარეგულირებელი აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის მხარეც არის საქართველო, რამდენადაც კანონმდებლობა ძალაშია და გამოიყენება საქართველოში;

„საჯარო რეესტრი“ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო;

„სამშენებლო დოკუმენტაცია“ - „კომპანიის“ მიერ „ქონებაზე“ მშენებლობის განხორციელების შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და/ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა შესაბამისი ადგილობრივი, სამთავრობო და/ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მიერ შეთანხმებული, დამტკიცებული, ნებადართული არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, საპროექტო დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა, ბრძანება და ნებისმიერი სხვა სამშენებლო დოკუმენტაცია.

„სამშენებლო სამუშაოები“ - ყველა სახის სამშენებლო, კონსტრუქციული, არქიტექტურული, საინჟინრო და მათთან დაკავშირებული სამუშაოები, მათ შორის ნებისმიერი სახის მიწისქვეშა, მიწისზედა, ინფრასტრუქტურული სამუშაოები, არქიტექტურულ-ტექნიკური პროექტირება, დაგეგმვა, ელექტრო-ტექნიკური და სხვა სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც უნდა განხორციელდეს „სამშენებლო დოკუმენტაციით“ გათვალისწინებული წესისა და პირობების და „საქართველოს კანონმდებლობის“ დაცვით.

„საცხოვრებელი ფართი“ - როგორც ეს განმარტებულია 2.3 პუნქტში;

აივანი – შენობის ფასადის სიბრტყიდან გამოწეული, მოაჯირით შემოკავებული ჰორიზონტალური კონსოლური სიბრტყე, რომელიც წარმოადგენს შენობის ძირითადი კონსტრუქციის ნაწილს და დაკავშირებულია მის შიდა სივრცესთან;

„სამუშაო დღე“ - დღე (გარდა შაბათ-კვირისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ არის გამოცხადებული ოფიციალურ უქმე დღედ და როდესაც კომერციული ბანკები დიაა საქმიანი ოპერაციებისთვის საქართველოში.

1.2 ტერმინებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული ზემოთ, მაგრამ გამოყენებულია წინამდებარე "ხელშეკრულებაში", აქვთ „საქართველოს კანონმდებლობით“ მინიჭებული მნიშვნელობა.

1.3 წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი მითითება მუხლზე, პუნქტზე, ქვეპუნქტსა ან დანართზე გულისხმობს წინამდებარე "ხელშეკრულების" მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტსა და დანართს და მითითება წინამდებარე "ხელშეკრულებაზე" მოიცავს მითითებას მის დანართებზეც. „ხელშეკრულების“ პუნქტების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და მათ არ აქვთ რაიმე გაელენა და არ უნდა მიექცეს ყურადღება წინამდებარე „ხელშეკრულების“ განმარტებისას.

1.5 წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ მითითებული ნებისმიერი დროის მონაკვეთის ათვლა უნდა დაიწყოს იმ გარემოების დადგომის პირველი სრული დღიდან, რომელიც იწვევს ამგვარი დროის მონაკვეთის ათვლას და ამ პერიოდის ბოლო დღე შედის ამ პერიოდში. თუ ვადის ბოლო დღე არ ემთხვევა სამუშაო დღეს, ასეთი ვადა გახანგრძლივდება მომდევნო სამუშაო დღემდე, რომელიც შედის ამ პერიოდში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „გამყიდველები“ თანახმა არიან, საკუთრებაში გადასცენ „კომპანიას“ „ხელშეკრულების“ 2.2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონებახ. კერძოდ,

„გამყიდველებისგან“ „კომპანიას“ საკუთრებაში გადაეცემა უძრავი ქონება (შემდგომში “**ქონება**”), რომლის მახასიათებლებია:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.81.02.242.002;
მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი ტაბახმელა, ლაშა-გიორგის IV ჩიხი, №7;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო;
დაზუსტებული ფართობი: 1,238 კვ.მ;
ნაკვეთის წინა ნომერი: 81.02.07.387;
მესაკუთრეები:
დავით მირესაშვილი (პ/ნ 01017036910) 3/6 ნაწილი
სოფიო მამფორია (პ/ნ 01009015380) 3/6 ნაწილი

2.2 „კომპანიისათვის“ საკუთრებაში გადაცემული „ქონების“ სანაცვლოდ თითოეულ „გამყიდველს“ საკუთრებაში გადაეცემათ „კომპანიის“ მიერ „ქონების“ ტერიტორიაზე აშენებული შენობა-ნაგებობაში საცხოვრებელი ფართი 119 კვ.მ. (შემდგომში **„საცხოვრებელი ფართი“**).

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული „კომპანიის“ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, „კომპანიის“ მესაკუთრედ რეგისტრაციასთან ერთად „საჯარო რეესტრის“ ამონაწერის ვალდებულებების გრაფაში გაკეთდება ჩანაწერი „კომპანიის“ ვალდებულების შესახებ.

2.4 „მხარეთა“ შეთანხმებით „ხელშეკრულების“ საგნის ნასყიდობის ფასს წარმოადგენს 120,000 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში რაც „ხელშეკრულების თარიღზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად შეადგენს 324,444 ლარს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ნასყიდობის საფასურის გადახდა ხდება არაფულადი ფორმით, „ქონების“ სანაცვლოდ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესითა და პირობებით „საცხოვრებელი ფართის“ გადაცემით.

2.5. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „საცხოვრებელ ფართში“ არ იგულისხმება „აივნები“, რომლებიც გადაეცემა „გამყიდველებს“ შესაბამის ბინებთან ერთად.

2.6 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „კომპანიის“ მიერ „გამყიდველებისათვის“ გადასაცემი „ხელშეკრულების“ 2.3 პუნქტში მითითებული „საცხოვრებელი ფართის“ ღირებულება მოიცავს ნებისმიერ გადასახადს, მოსაკრებელს და ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომლის დაკანება ან გადახდა შეიძლება „ხელშეკრულების თარიღისთვის“ ეკისრებოდეს ან მომავალში დაეკისროს „გამყიდველებს“ „ქონებასთან“ დაკავშირებით.

მუხლი 3. „საცხოვრებელი ფართის“ ტექნიკური პირობები

3.1 „კომპანია“ ვალდებულია, „საცხოვრებელი ფართი“ „გამყიდველს“ გადასცეს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, რომელიც მოიცავს: დამონტაჟებულ, საცხოვრებელი ბინის შესასვლელ რკინის კარებს; დასრულებულ ბინის ტიხრებს; გალესილ კედლებს; მოჭიმულ იატაკს; ბინების პერიმეტრზე გარედან არსებულ დასრულებულ კედლებს; „კომპანიის“ მიერ დამოუკიდებლად შერჩეული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს; საცხოვრებელი ბინის თითოეულ ოთახში ელექტრო გაყვანილობას; საცხოვრებელ ბინამდე მიყვანილ სანტექნიკურ დგარებს (ცივი წყალი, კანალიზაცია, გაზი, ელექტროობა).

3.2 „გამყიდველებისათვის“ გადაცემული „საცხოვრებელი ფართზე“, „კომპანია“ ვალდებულია, უზრუნველყოს „გამყიდველები“ თითო ავტოსადგომით.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 „კომპანია“ ვალდებულია, უზრუნველყოს „გამყიდველებისათვის“ „საცხოვრებელი ფართის“ გადაცემა „სამშენებლო დოკუმენტაციის“ გაცემიდან 60 თვის განმავლობაში.

4.2 „კომპანია“ ვალდებულია, გადასცეს „გამყიდველებს“ „საცხოვრებელი ფართი“ „ხელშეკრულების“ მე-3 მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად, რის შესახებაც „მხარეებს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მოხდება „საცხოვრებელი ფართის“ აზომვა პერიმეტრის მიხედვით, რომლის დროსაც დასაშვებია ცდომილება „საცხოვრებელი ფართის“ კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საერთო ფართის 1 პროცენტის ფარგლებში. „კომპანია“ არ აანაზღაურებს აღნიშნულის ფარგლებში დაშვებულ ცდომილებას.

4.3 თუ „კომპანიის“ მიერ „გამყიდველებისათვის“ გადასაცემი „საცხოვრებელი ფართი“ არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ მე-3 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, „კომპანია“ ვალდებულია აღმოფხვრას ყველა შეუსაბამობა საკუთარი ხარჯითა და ძალისხმევით ამისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.

4.4 „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევად არ განიხილება ისეთი შემთხვევა, როდესაც „სამშენებლო სამუშაოების“ განსაზღვრულ ვადაში დაუსრულებლობა გამოწვეულია „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი ნებისმიერი გარემოებით, როგორიცაა:

ა) ნებისმიერი „მესამე პირის“, მათ შორის გაზის, წყლის და ელექტროობის მიმწოდებელი კერძო და/ან სახელმწიფო ორგანოების, „სამშენებლო დოკუმენტაციის“ გამცემი ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედება/უმოქმედობა, რომლებიც აჭიანურებს/აფერხებს „საცხოვრებელი ფართის“ გადაცემას;

ბ) უძრავი ქონების ბაზარზე უძრავი ქონების ფასის ცვლილება, რამაც გამოიწვია საცხოვრებელი კომპლექსის ცალკეული საცხოვრებელი ბინის გასხვისების შეფერხება და/ან გავლენა მოახდინა საცხოვრებელი კომპლექსის ფინანსირებაზე.

4.5 „ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას „კომპანიის“ მიერ „წინამდებარე ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებელი ვადა გადავადებულ უნდა იქნეს ამგვარი შემთხვევის ხანგრძლივობის პროპორციულად.

4.6 „კომპანია“ ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი „საჯარო რეესტრის“ სარეგისტრაციო საფასურის გადახდაზე.

4.7 თუ „კომპანია“ 4.1 პუნქტში მითითებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს „საცხოვრებელი ფართის“ გადაცემას, „კომპანია“ ვალდებულია, გადაუხადოს „გამყიდველებს“ ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2.3 პუნქტში მითითებული თანხის 0.001%-ის ოდენობით.

4.8. „მხარეები“ აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიის“ ინიციატივით შესრულებული გეოლოგიური კვლევის შედეგები შეუძლებელს ხდის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ან/და ვერ ხერხდება შესაბამისი

„სამშენებლო დოკუმენტაციის“ გაცემა/მიღება, „კომპანია“ უფლებამოსილია, უარი თქვას „ხელშეკრულებაზე“ და საკუთრებაში დაუბრუნოს „გამყიდველებს“ „ქონება“. ასეთ შემთხვევაში, „გამყიდველებს“ არ ეკისრებათ „კომპანიის“ მიერ გაწეული გეოლოგიური კვლევის და/ან „სამშენებლო დოკუმენტაციის“ მომზადების ხარჯების ანაზღაურება.

4.9 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში „ხელშეკრულების“ შეწყვეტა და „გამყიდველებისათვის“ „ქონების“ უკან დაბრუნება არ ჩაითვლება „კომპანიის“ მიერ ვალდებულების დარღვევად და „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულიდან გამომდინარე „გამყიდველების“ და/ან „მესამე პირის“ პრეტენზიაზე, მოთხოვნასა ან სარჩელზე და „კომპანია“ თავისუფალია „გამყიდველების“ და/ან „მესამე პირის“ ნებისმიერი ზიანის, დანაკარგის, მოთხოვნის, პრეტენზიის, ჯარიმის ან სანქციის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა

წინამდებარე “ხელშეკრულება“ ძალაში შედის ორივე „მხარის“ მიერ მისი ხელმოწერისა და „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციისთანავე, და ძალაში რჩება „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

მუხლი 6. დავები და მარეგულირებელი კანონმდებლობა

წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება „საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად. „მხარეთა“ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „ხელშეკრულებას“, რომელიც მშვიდობიანად ვერ მოგვარდება „მხარეთა“ უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით, განსახილველად გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ “საქართველოს კანონმდებლობის“ შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მათი ვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, რაც გულისხმობს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა „მხარეთა“ ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება „მხარეთა“ გონივრულ შესაძლებლობებს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ომს, მასობრივ არეულობებს, სამოქალაქო არეულობებს, რევოლუციებს, გაფიცვებს, ბლოკადებს, უბედურ შემთხვევებს, ხანძრებს, წყალდიდობებს თუ სხვა ბუნებრივ მოვლენებს, ემბარგოებს, სამთავრობო აქტების ან ნებისმიერ სხვა შემთხვევებს, რაც „მხარეთა“ კონტროლს მიღმაა. „საქართველოს კანონმდებლობის“ და/ან ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტების ისეთი ცვლილება, რომელიც აუარესებს რომელიმე „მხარის“ სამართლებრივ მდგომარეობას, გავლენას ახდენს „მხარეთა“ და/ან „მესამე პირების“ მიერ შესასრულებელი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადებზე და/ან ხარჯებზე, განიხილება, როგორც ფორს-მაჟორული გარემოება. ნებისმიერი ასეთი ფორს-მაჟორული გარემოება ათავისუფლებს „მხარეებს“ ურთიერთვალდებულებებისაგან ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებების ფარგლებში, და „მხარეთა“ მიერ „წინამდებარე ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებელი ვადა გადაეადებულ უნდა იქნეს ამგვარი შემთხვევის ხანგრძლივობის პროპორციულად.

7.2 „მხარე“, რომელიც იმყოფება ფორს-მაჟორულ პირობებში, ვალდებულია, მეორე „მხარეს“ წერილობით შეატყობინოს აღნიშნული შემთხვევის დაწყებისა და დასრულების შესახებ ამგვარი პირობების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1 წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ყველა შეტყობინება თუ სხვა კომუნიკაცია „მხარეებს“ შორის უნდა განხორციელდეს წერილობით და გადაცემულ უნდა იქნეს შეტყობინების გამგზავნი „მხარის“ არჩევანის მიხედვით პირადად, დაზღვეული ფოსტის ან კურიერის „მხარეთა“ მხოლოდ ქვემოთ მითითებულ შესაბამის მისამართებზე:

„კომპანია“

მიმღები: დავით გოგსაძე
შპს „დეველოპიო“ (ს/კ: 405634906)
ქ. თბილისი, საქართველო,
ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩა №32, ბინა 17

გამყიდველი:

დავით მირესაშვილი (პ/ნ 01017036910)
თბილისი, ლეო ქიაჩელის ქ. 7ა

სოფიო მამფორია (პ/ნ 01009015380)
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 52, ბინა 4

8.2 შეტყობინებები მიღებულად ჩაითვლება ადრესატი „მხარის“ მიერ: შეტყობინების ჩაბარების დღეს, თუ მისი გადაცემა მოხდა პირადად ან კურიერის მეშვეობით, ხოლო დაზღვეული ფოსტით შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - მიღების ქვითარზე ხელის მოწერისას.

8.3 „მხარე“ ვალდებულია მეორე „მხარეს“ დაუყოვნებლივ აცნობოს ზემოთ მითითებული მისამართიდან რომელიმეს შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას შეტყობინება გაიგზავნება „მხარისათვის“ ცნობილ ზემოაღნიშნულ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც „მხარეს“ აღარ ჰქონდეს რაიმე კავშირი ან წვდომა ამ მისამართთან.

მუხლი 9. სხვადასხვა

9.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყველა დებულება უცვლელად ინარჩუნებს ძალას და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისათვის და/ან მემკვიდრეებისათვის.

9.2 წინამდებარე „ხელშეკრულება“ წარმოადგენს „მხარეთა“ სრულ შეთანხმებას და ურთიერთგაგებას წინამდებარე „ხელშეკრულების“ საგანთან დაკავშირებით, და აუქმებს „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულების“ საგანთან დაკავშირებით ადრე მიღწეულ ნებისმიერ და ყველა ზეპირ თუ წერილობით შეთანხმებას.

9.3 წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია ორივე „მხარის“ წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე „ხელშეკრულებას“, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.4 არცერთი შეთანხმება, რომელიც ახანგრძლივებს რაიმე ვალდებულების შესრულების ვადას, ან უარს ამბობს წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების გამოყენებაზე, არ იქნება ძალაში და სავალდებულო, თუ არ არის შედგენილი წერილობით და არ არის ხელმოწერილი იმ „მხარის“ მიერ, რომლის სასარგებლოდაც იყო დათქმული ეს ვადა ან დებულება.

9.5 რამდენადაც შესაძლებელია, წინამდებარე „ხელშეკრულების“ თითოეული დებულება ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ იყოს ძალაში. თუ წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულება კანონის თანახმად ძალას დაკარგავს ან გაუქმებულად მიიჩნევა, ამგვარი დებულება გაუქმებულად ჩაითვლება ამ აკრძალვის ფარგლებში და არანაირი ზეგავლენა არ ექნება წინამდებარე „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებზე.

9.6 წინამდებარე „ხელშეკრულების“ არცერთი დებულება არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან მისი ნებისმიერი დებულებით, ნებისმიერ სხვა პირს, გარდა „მხარეებისა“, მიენიჭოს რაიმე კანონიერი უფლება, სამართლებრივი დაცვის საშუალება ან მოთხოვნის უფლება, და წინამდებარე „ხელშეკრულების“ ყველა დებულება გამიზნულია „მხარეთა“ ან მათი უფლებამონაცვლეების ან უფლებამოსილი პირების ერთპიროვნული და ექსკლუზიური სარგებლობისთვის.

9.7 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება, ვალდებულება ან სხვა პირობა, რომელიც მისი არსიდან ან მოთხოვნიდან გამომდინარე, ძალაში უნდა დარჩეს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგ, ძალაში დარჩება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგაც.

9.8 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია 1 (ერთ) ეგზემპლარად, რომელიც წარედგინება „საჯარო რეესტრს“.

მხარეთა ხელმოწერები

„გამყიდველები“:

დავით მირესაშვილი (პ/ნ 01017036910) _____

სოფიო მამფორია (პ/ნ 01009015380) _____

„კომპანია“

დავით გოგსაძე (პ/ნ 01021007408) _____

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შემავალი №1097
თარიღი 30/10/2023